

24/06/2025



MES 8 25 0000736857

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 13 ივნისს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

- **ელენე კაკაბაძე** - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;
- **ხათუნა ჩხარტიშვილი** - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
- **ნათია ბუთხუზი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი - საბჭოს მდივანი;
- **გიორგი ვეკუა** - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი;
- **ხათუნა ცერცვაძე** - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
- **დავით ჯინჭარაძე** - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი;
- **ანა აროშიძე** - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
- **გოჩა გოგიტიძე** - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი;
- **გოგიტა მშვენიერაძე** - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდლაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

სოფიკო ბეჭირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- მანანა მოისწრაფიშვილი;
- ნინო კახიძე;
- ლევან ღურჭკაია;
- ია გელენიძე;
- ნანა ვერულაშვილი;
- იაზონ დანელია;
- ქეთევან ღვანიძე;
- გიული გურგენიძე;
- შოთა კოჩაძე;
- ვერიკო ჭილაძე;
- ტიტე ბოლქვაძე;
- ლანა გაჩეჩილაძე;
- ბარბარე გონაშვილი;
- ალექსანდრე კეკენაძე;
- თამილა გრძელიშვილი;
- ინგა ბაქრაძე.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - "ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი"

თეიმურაზ ასათიანი - კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

ნანა ბატიაშვილი - ხარისხის მართვის სპეციალისტი;

მარიამ ჯოჯიშვილი - სასწავლო პროცესის მენეჯერი.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

მანანა მოისწრაფიშვილი - დირექტორი;

შოთა მარგიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

შორენა ხაჭაპურიძე - დირექტორი;
შორენა დემურაშვილი - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი.

შპს ცხუმ-ეგრისი

გელა მამფორია - დირექტორი;
ნონა თაკალანძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 29 სექტემბრის N1185760 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის "ლოკომოტივის მართვა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს ცხუმ-ეგრისის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის სხდომაზე განხილულ იქნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის (გეგმიური) შესახებ საკითხი. აღნიშნულ სხდომაზე საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დამატებითი მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის 5.1 კომპონენტის გადამოწმების მიზნით (5.1. კომპონენტი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი). მონიტორინგის თარიღად საბჭომ განსაზღვრა 2025 წლის 25 თებერვალი, მონიტორინგის ფორმად - დოკუმენტების გამოთხოვა. მიმდინარე წლის 4 მარტს დაწესებულებას გაეგზავნა წერილი, დოკუმენტების გამოთხოვასთან დაკავშირებით. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (შემდგომში - თსუ) ცენტრში წარმოადგინა წერილები შესაბამისობის რეკომენდაციების შესრულების შესახებ, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად. კერძოდ,

ინდიკატორი 5.1.1.2. - შშმ პირების გადაადგილების ხელშესაწყობად, შენობის მეორე სართულის ადაპტირების მიზნით კიბეებზე მოეწყო სპეციალური ასასვლელი (რელსები) რომელიც საშუალებას მისცემს ეტლით მოსარგებლეს მე-2 სართულზე გადაადგილდეს. მტკიცებულებად წარმოდგენილია ფოტო მასალა.

ინდიკატორი 5.1.1.5. - მტკიცებულებად წარმოდგენილია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოების გეგმის დამტკიცების თაობაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 17 მარტის N61/02- 01 ბრძანება.

ინდიკატორი 5.1.2.3. - მტკიცებულებად წარმოდგენილია:

•სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმა (თბილისისა და ქუთაისის ლოკაცია) და თანდართული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმის შეთანხმების თაობაზე წერილი (თბილისისა და ქუთაისის ლოკაცია);

რაც შეეხება 5.1.2.1. ინდიკატორს, წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ირკვევა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის, როგორც თბილისის (ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2 (ს/კ N01.14.04.028.018), ასევე ქუთაისის (ნიკეას მე-2 შესახვევი N8) ლოკაციაზე სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგად არსებობს უარყოფითი დასკვნები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სახანძრო უსაფრთხოების გეგმა, რომელიც მოიცავს ღონისძიებებს აქტივობების დასახელების, შესრულების ვადებისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი აქტივობის შესრულების ვადა გადადის 2026 წლის ბოლომდე. ნაწი დალაქიშვილმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში უწევს ავტორიზაციის (რეავტორიზაცია) განაცხადის შემოტანა, მთავრობის დადგენილების შესაბამისად, ამდენად, ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია, 5.1.2.1. ინდიკატორის შესრულების მდგომარეობა შეფასდეს ავტორიზაციის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, რაზეც, გთხოვთ საბჭოს თანხმობას, დაამატა ნაწი დალაქიშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს ყველა წევრი დაეთანხმა ცენტრის შუამდგომლობას.

პირველი საკითხი: „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 29 სექტემბრის N1185760 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაც ილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხეობა

- არა

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში რეგისტრირდა სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის წერილები, რომლებშიც ასახულია, რომ დაწესებულების მიერ მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "აგრომექანიზაცია" და "მეხილეობა" მოდიფიცირება, რაც ეფუძნებოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანებაში, რომელიც ითვალისწინებს "საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესსა და პირობებს" განხორციელებულ ცვლილებას. შეიცვალა ინტეგრირებული მოდულები და შესაბამისად, მათი ჯამური კრედიტების რაოდენობა. აქედან გამომდინარე, დაწესებულებამ წარმოადგინა მოდიფიცირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები "აგრომექანიზაცია" (მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი) და "მეხილეობა" (მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი; დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. №21) შესაბამის დანართებთან და მტკიცებულებებთან ერთად. აღნიშნული პროგრამების მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამების პარამეტრები. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ადასტურებს, რომ ცვლილებები სწორად არის განხორციელებული და საბჭოსთან გადაგზავნილია აღნიშნული პროგრამების განახლებული პარამეტრები. ცენტრი აყენებს საკითხს საბჭოს წინაშე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 29 სექტემბრის N1185760 გადაწყვეტილების დანართში და დანართი დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით. რაც შეეხება ზემოაღნიშნულ პროგრამებზე უკვე ჩარიცხული სტუდენტების შესახებ ინფორმაციას, დაწესებულებას, პროგრამებში ცვლილების შეტანის ბრძანებაში მითითებული აქვს, რომ სსიპ "ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში" ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ მიმდინარე პროგრამებზე სწავლას დაასრულებენ შეცვლამდე არსებული პროგრამების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს „ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 29 სექტემბრის N1185760 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 29 სექტემბრის N1185760 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: შევიდეს ცვლილება დანართში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "აგრომექანიზაცია" და "მეხილეობა"(მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი; დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. №21) პარამეტრებში. გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 1**).

მეორე საკითხი: ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის "ლოკომოტივის მართვა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვერიკო ჭილაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 28 აპრილს ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ლოკომოტივის მართვა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ

სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტაციით და შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომლის შესაბამისად 2025 წლის 15 მაისს განხორციელდა ვიზიტი ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში (ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10). ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებსა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ვიზიტის დროს დათვალიერებული იქნა სასწავლო გარემოები, ბიბლიოთეკა და მატერიალური რესურსები. შესაბამისი ინფორმაცია დეტალურად არის წარმოდგენილი დასკვნაში.

ექსპერტის განცხადებით ვიზიტის დროს არ დაფიქსირებულა ხარვეზები, არ გაცემულა შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ლოკომოტივის მართვა“

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. სწავლებისათვის კოლეჯს გააჩნია A, B და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად აღჭურვილი C გარემო. პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს 4 A ტიპის სასწავლო გარემო, ყოველი მათგანი გათვლილია 30 პროფესიულ სტუდენტზე, თითოეული აღჭურვილია შემდეგი შესაბამისი ინვენტარით, 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი 2 B ტიპის სასწავლო გარემო. C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია თანამედროვე ლოკომოტივის მართვის სიმულატორებით, ინსტრუქტორის მართვის პულტითა და მონიტორით. დაწესებულებას ინტეგრირებული მოდულებისთვის გამოყოფილი აქვს მოთხოვნილი კვოტის და მოდულის მიზნების შესაბამისად აღჭურვილი ქიმიისა და ბიოლოგიის (№101) და ფიზიკის (№404) ლაბორატორიები, სპორტის ზონა და A სასწავლო გარემოები, რომელიც გამტარუნარიანია სხვა მოდულების განხორციელების მიზნით გამოყენების დროსაც. დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აუდიტორიების აღჭურვილობა იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესი სრულყოფილად განხორციელდეს. კვირის განმავლობაში, ხუთდღიანი სწავლებით შეჭრილ ცვლაში შესაძლებელი იქნება მოთხოვნილი საერთო რაოდენობის (150 პროფესიული სტუდენტი) თეორიული მომზადების ერთდროულად გატარება. თითო აუდიტორიის დატვირთვა 60 საათი კვირაში და დამატებით 60-60 საათი სიმულატორებზე. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს პრაქტიკის განხორციელების შესახებ ხელშეკრულება (იუს/25-015 31/03/2025წ) გაფორმებულ აქვს საწარმოსთან სს „საქართველოს რკინიგზა“. დოკუმენტის მიხედვით პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფს 150 პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო პროცესს მატერიალური რესურსით, საწარმოს ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების ნაწილში და პროფესიულ სტუდენტთა წვდომა/დაშვებას საწარმოს იმ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან (ან საშუალებებთან), რომლის გამოყენებაც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. პრაქტიკის ობიექტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მის კომპეტენციას მიკუთვნებული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად გამოყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის ან/და სამუშაო გამოცდილების მქონე თანამშრომელს - პრაქტიკის ინსტრუქტორს, რომელიც ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო/საწარმოო პროცესში მონაწილეობის ზედამხედველობას და მათთვის შესაბამისი მითითების მიცემას, ასევე, აწარმოებს პროფესიულ სტუდენტთა საწარმოში გამოცხადების აღრიცხვასა და შრომის უსაფრთხო პირობების დაცვის უზრუნველყოფას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის დროს აუდიტორიების, მატერიალური და ადამიანური რესურსის საკმარისობის შემოწმების მიზნით ასევე გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია მიმდინარე

პროგრამაზე არსებული აქტიური სტუდენტების რაოდენობისა და მათ მიერ პროგრამის დასრულების თარიღის შესახებ. დაწესებულებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ლოკომოტივის მართვა ჰყავს 2023 წელს ჩარიცხული 24 აქტიური პროფესიული სტუდენტი - დასრულების თარიღი 2025 წლის 15 ნოემბერი, ხოლო 2024 წელს ჩარიცხული 20 სტუდენტი - დასრულების თარიღი 2026 წლის 25 ნოემბერი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციისა და რესურსების ფიზიკური შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას შესაბამისად აქვს განსაზღვრული რესურსები პროგრამის განხორციელებისთვის, რაც იძლევა არსებული და მომავალი სტუდენტებისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 58 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან, პროფესიული მოდულების განმახორციელებლად 27 პირია განსაზღვრული, ზოგადი მოდულებისთვის 20 პირი და ინტეგრირებული მოდულებისთვის 11. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯი პირველად დადგა ასეთი მოცულობის კვოტისა და სამუშაოს დაძაბული რეჟიმის წინაშე. მისი განცხადებით, კოლეჯი შეიქმნა საქართველოს რკინიგზისთვის კადრების დეფიციტის შესამცირებლად. თუმცა, ბოლო პერიოდში მომხდარმა მოვლენებმა 2020 წელს დაწყებულმა პანდემიამ, რუსეთ-უკრაინის ომმა და გლობალური ტრანსპორტის, ლოგისტიკისა და ეკონომიკის მიმართულებით განვითარებულმა ცვლილებებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა საქართველოს, როგორც შუა კორიდორს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული კორიდორის ეფექტური ამოქმედება გავლენას მოახდენს ბევრ მხარეზე და მისი ამოქმედებისთვის გადამწყვეტია საქართველოს რკინიგზის მუშაობის პარამეტრების გაუმჯობესება. ამ მიზნით, საქართველოს რკინიგზამ პირველ ეტაპზე მიიღო გადაწყვეტილება 12 ლოკომოტივის შესყიდვის შესახებ, რომელთაგან თითოეულს 12 მემანქანე უნდა მოემსახუროს. აღნიშნულს დაერთო კადრების 7%-იანი გადინება, კადრების დაბერების პრობლემა და 59-ე დირექტივის ამოქმედებით მიღებული კანონი, რომლის მიხედვითაც შესაბამისი კვალიფიკაციის არმქონე პირი ვერ იმუშავებს ლოკომოტივზე. მისი თქმით, საქართველოში ლოკომოტივის მემანქანეები არ მზადდებოდა და აღმოჩნდა, რომ ყველა პირი, ვისაც ლიცენზიის მიღება შეეძლო, 2018 წლიდან დღემდე მხოლოდ კოლეჯის კურსდამთავრებული იყო. სწორედ აღნიშნული ფაქტორების ერთობლიობამ განაპირობა 150 კაციანი კვოტის განსაზღვრა. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე, ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს რკინიგზა რეგიონში ერთადერთია, რომელსაც შეუძლია მოამზადოს ლოკომოტივის მემანქანეები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის "ლოკომოტივის მართვა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს (ს/კ: 402019917) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ლოკომოტივის მართვა", რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (**დანართი 2**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 13 ივნისი.

მესამე საკითხი: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

საბჭოს წევრს, ხათუნა ჩხარტიშვილს, ჰქონდა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელთან აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულს მხარეს, რის თაობაზეც ხათუნა ჩხარტიშვილმა განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრის თვითაცილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მოისწრაფიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. ა.წ. 28 აპრილი-2 მაისის შუალედში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის N376149 ბრძანების შესაბამისად (04.04.2025) საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისობა შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის "საფინანსო სერვისები", "საექთნო განათლება"; "ფარმაცია (სააფთიაქო)", „აღმზრდელი“ და „ინფორმაციის ტექნოლოგია“. ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტამდე შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეიკრიბნენ zoom-ის საშუალებით, განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად წამოჭრილი საკითხები, შეიმუშავეს ვიზიტის დღის განრიგი. 2025 წლის 28-30 აპრილს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა შეამოწმეს კოლეჯის ინსტიტუციური სტანდარტები, ასევე, 29-30 აპრილს დარგის ექსპერტების მიერ შეფასდა „საფინანსო სერვისების“, „აღმზრდელის“, „ინფორმაციის ტექნოლოგიების“ (29 აპრილს) და "ფარმაციის (სააფთიაქო)" და "საექთნო განათლების" (30 აპრილს) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ქ. თბილისში. 1 და 2 მაისს ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა კოლეჯის თელავის ფილიალი ინსტიტუციურ სტანდარტებთან მიმართებაში და დარგის ექსპერტებმა კი განახორციელეს კოლეჯში პროგრამული სტანდარტების შეფასება შემდეგი პროგრამებისთვის: "საფინანსო სერვისები", "საექთნო განათლება"; "ფარმაცია (სააფთიაქო)", „აღმზრდელი“. ვიზიტი განხორციელდა დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის განრიგის დაცვით. ვიზიტის ფარგლებში მათ მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რევიზირებული იქნა კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები, ასევე, გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, დარგის ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებს და განმახორციელებლებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, შეაფასეს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, დაათვალიერეს მათი ფაქტობრივი მდგომარეობა, ფლობის დოკუმენტაცია, გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს, შეიმუშავეს რეკომენდაციები. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში, დაწესებულება მაქსიმალურად ეცადა ხელი შეეწყო ექსპერტებისთვის შეფასების პროცესისთვის საჭირო დოკუმენტაციისა თუ ინტერვიუების მონაწილეების მოხილვით. 2025 წლის 2 მაისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულებას წარუდგინა პრეზენტაცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯერებული მიგნებების შესახებ. ვიზიტის მიმდინარეობისას განახლებული რეესტრის ამონაწერის მიხედვით დაფიქსირდა, რომ ქ. თბილისში კოლეჯი განთავსებულია ქ. თბილისში გ. ზაზიშვილის ქ. N1, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივ მისამართს წარმოადგენს ქ. თბილისი, გ. ზაზიშვილის ქ. N1. ასევე, ქ. თელავში კოლეჯის განთავსების მისამართი თვითშეფასების მიხედვით ფიქსირდებოდა ქ. თელავი, ლესელიძის ქ. N1, თუმცა, განახლებული რეესტრის მონაცემების მიხედვით, ვინაიდან მომხდარია ქ. თელავის ხელახალი დამისამართება, კოლეჯის მისამართში დაფიქსირდა ცვლილება და ახალ ოფიციალურ

მისამართს წარმოადგენს ქ. თელავი, გიორგი ბარძიმოვის ქ. N42. ავტორიზაციის ექსპერტთათვის დასკვნის წარმოდგენამდე ხელმისაწვდომი გახდა განახლებული ამონაწერები გადაწყვეტილება # 882025497176- 03 (05.05.2025), რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულების იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, გიგო ზაზიაშვილის ქუჩა, N 1, არასაცხოვრებელი ფართი და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილი NKA011768592174425, რომლის მიხედვით ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 8 აგვისტოს N49 დადგენილების საფუძველზე, ქალაქ თელავში, ალაზნის გამზირის N6-ის მიმდებარედ არსებულ უსახელო ქუჩას გიორგი ბარძიმოვის სახელი მიენიჭა. ასევე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 13 იანვრის NM22000377 გადაწყვეტილებების საფუძველზე უძრავ ნივთს, მისამართით: ქალაქი თელავი, ლესელიძის ქუჩა, N1 (საკადასტრო კოდით: 53.20.36.304) მისამართი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: თელავის მუნიციპალიტეტი, ქალაქი თელავი, გიორგი ბარძიმოვის ქუჩა, N42. შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტებმა დასკვნის წარმოდგენისას ისარგებლეს განახლებული ინფორმაციით.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის გამოცდილება, რაც გულისხმობს წარმატებულიკურსდამთავრებული წარმატებული პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე (საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული), მოწვეული და ჩართული იქნა პროფესიული პროგრამის განხორციელებაში, რაც ავტორიზაციის ექსპერტთა აზრით სასურველი და მისასალმებელი ფაქტია.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ა) 1.2.1.1. სასურველია დაწესებულებამ არსებული დოკუმენტები მოდიფიცირების დროს არ დაამტკიცოს ხელახლა და გამოიყენოს ცვლილებების ბრძანებების პრაქტიკა, ამასთან, განხორციელებული ცვლილებების შინაარსის, პროცესებისა თუ დოკუმენტების განვითარების შეფასების და პროცესების ანალიზის მიზნით მათი პრაქტიკული გამოყენების სიმარტივისთვის აწარმოოს ოქმები, რომლებშიც ასახული იქნება ცვლილებების შინაარსი.

1.2.1.2. კოლეჯმა სასურველია გააძლიეროს პირდაპირი თანამშრომლობა მუნიციპალიტეტებთან დიალოგის რეჟიმში (ნაცვლად დოკუმენტების გაზიარებისა), განსაკუთრებით თელავის რეგიონში, რათა უფრო ეფექტურად მოახდინოს მათი პრიორიტეტების ასახვა თავისი საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში.

3.1.1.1 რეგულაცია ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის საფუძველებს. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია: პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლიანი ვადის გასვლა და სხვა შემთხვევები, სტატუსის შეწყვეტის საფუძველებში მითითებულია „ბ) აღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერების გარემოებების ხელმეორედ დადგომა“, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებას რაოდენობრივ ჭრილში არ განსაზღვრავს, სასურველია, დაწესებულებამ სტუდენტს მისცეს თავისუფლება სტატუსის შეჩერებასა და აღდგენაში და ამოიღოს სტატუსის შეწყვეტის საფუძველებიდან „ბ“ პუნქტი.

3.1.1.1 სასწავლო პროცესის მართვის წესის მიხედვით, ფორმალური განათლების აღიარების მსურველი სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის, რომელზეც ჩაირიცხა. აღიარების პროცედურის დაწყების საფუძველს წარმოადგენს ფორმალური განათლების აღიარების მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ ფორმალური განათლების აღიარების განცხადების ფორმის შევსება. დაწესებულებამ წარმოადგინა ფორმალური განათლების აღიარების პრაქტიკული ქეისი, რომელსაც ახლავს პროფესიული სტუდენტის მიერ შევსებული განაცხადი და დანართი,

რომელშიც იდენტურადაა შევსებული ორივე გრაფა - ასალიარებელი და მიღწეული სწავლის შედეგების, რაც არასწორია და პოტენციურად ართულებს შესაბამისი კომისიისთვის საქმიანობას და აღიარების პროცესს. სასურველია, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელმა პირს დაევალოს პროფესიულ სტუდენტს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია ფორმალური განათლების აღიარებისთვის განაცხადის სრულყოფილად შევსების თაობაზე.

3.1.1.1 სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების პირობები ზოგადი ხასიათით დადგენილია კოლეჯის შინაგანაწესით (დამტკიცებულია - დირექტორის 2020 წლის 8 ივნისის N21 ბრძანებით, ცვლილება- 2025 წლის 26 აპრილის N5829 ბრძანებით). კოლეჯს სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების გამოცდილება პრაქტიკაში არ აქვს. სასურველია, გაიწეროს რა შემთხვევაში რა სახის დისციპლინური სახდელი შეიძლება დაწესდეს პროფესიული სტუდენტის მიმართ, რათა გამოირიცხოს პირის მიმართ დისციპლინური გადაცდომის არათანაზომიერი სახდელის (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) დაწესება.

3.1.1.2 კოლეჯი ყოველწლიურად, ახალ ნაკადთან ატარებს გაცნობითი ხასიათის შეხვედრას. კოლეჯმა წარმოადგინა აღნიშნულ შეხვედრებზე წარდგენილი პრეზენტაციები, რომელიც მოიცავს პროფესიული სტუდენტების უფლების შესახებ ინფორმაციას. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს, რასაც ასევე ადასტურებენ პროფესიული სტუდენტები ექსპერტებთან ინტერვიუებისას. დამკვიდრებული პრაქტიკით პრეზენტაციის წარმართვას კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი და თითოეულ ჯგუფთან ინდივიდუალურად-პროგრამის ხელმძღვანელი, თუმცა ვინაიდან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა ყოველწლიურ ხასიათს ატარებს და სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ხელშეწყობი ღონისძიებაა, სასურველია გაიწეროს როგორ მიმდინარეობს პროცესი და ვინ არიან მასზე პასუხისმგებელი პირები.

3.1.1.3 კოლეჯს აპელაციის ქეისი არ აქვს. სასურველია, რეგულაციაში დაზუსტდეს, რომ სააპელაციო საჩივრის განმხილველი პროფესიული განათლების მასწავლებელი შეირჩევა ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით და ასევე, დადგინდეს რა ფორმით მიეწოდება გადაწყვეტილების თაობაზე ინფორმაცია სააპელაციო საჩივრის წარმდგენ პროფესიულ სტუდენტს.

3.1.1.3 შეფასების სისტემის მექანიზმები ასევე მოიცავს შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს. რეგულაციის მიხედვით, საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება პროგრამის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი თვისა. ვინაიდან საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე პირს

უნარჩუნდება პროფესიული სტუდენტის აქტიური სტატუსი და კოლეჯი ყოველწლიურად აცხადებს პროგრამებზე მიღებას(მისაღები კვოტის გაანგარიშებისთვის), ამასთანავე სტუდენტთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სასურველია შეფასება განხორციელდეს როცა მათი ცოდნა აქტიურ ფაზაშია, შესაბამისად სასურველია, საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარდეს სასწავლო პროცესის დასრულებისას გონივრულ ვადაში, არაუმეტეს 1 თვეში.

3.2.1.2 დამკვიდრებული პრაქტიკით, პროგრამის ხელმძღვანელი ჯგუფს აცნობს ზოგადი ქცევის ნორმებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თავისებურებებს, როგორ ხდება პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა განაწილება, როგორ უტარდებათ ინსტრუქტაჟი და ა.შ. თუმცა აღნიშნული არ ვლინდება პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებში, სასურველია, სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებს დაემატოს გაცნობითი ხასიათის შეხვედრის ჩატარება ჯგუფთან, სადაც განხილული იქნება ეს საკითხები.

3.2.1.3 სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, თუმცა კოლეჯის მიერ რეგულირებული წესები არ ადგენს ცნობის, სერტიფიკატის თუ დიპლომის გაცემა რა ვადაში ხდება და ვინ არის პასუხისმგებელი აღნიშნულ საკითხებზე. სასურველია, გაიწეროს ცნობის,

სერტიფიკატის თუ დიპლომის გაცემა რა ვადაში ხდება და ვინ არის პასუხისმგებელი აღნიშნულ საკითხებზე.

3.2.2.2 კარიერულ მხარდაჭერაზე პასუხისმგებელია სასწავლო დეპარტამენტის თანამშრომლები, შეიძლება ითქვას თანაბარი დოზით თითოეული თანამშრომელი. სასურველია, მეტად ეფექტურად წარმართვისთვის და ორგანიზებულობისთვის კარიერული მხარდაჭერის მომსახურება კონცენტრირებულად დაევალოს კონკრეტულ თანამშრომელს სასწავლო დეპარტამენტიდან.

4.1.1.1 სასურველია, კოლეჯის სტრუქტურა იძლეოდეს ინფორმაციას ყველა პოზიციაზე, როგორც სამტატო, ასევე არასამტატო პოზიციებზე, ასევე რამდენი დასაქმებული კადრია თითოეულ პოზიციაზე (ერთზე მეტი კადრის შემთხვევაში; არ ეხება მასწავლებლების რაოდენობას რაც ცვალებადია დინამიკაში), ამასთანავე, სასურველია, სტრუქტურაში გამოიყოს თელავის განყოფილებაში არსებული პოზიციები მეტი სიცხადისთვის და მკაფიოობისთვის.

4.1.2.1 კოლეჯი აქტიურად იყენებს სტაჟირებას, რომლითაც გამოცდილების გარეშე პირები კოლეჯის ბაზაზე იღებენ სამუშაო გამოცდილებას და 3-6 თვეში აქვთ შესაძლებლობა დასაქმდნენ ვაკანტურ პოზიციაზე ასეთის არსებობის შემთხვევაში, რისკი კარგი პრაქტიკაც კოლეჯს აქვს. სტაჟირება ანაზღაურებადია და მოქნილ გრაფიკს სთავაზობს კოლეჯი სტაჟიორს, თუმცა სტაჟირების თაობაზე შეთანხმებებში მითითებულია 6 დღიანი სამუშაო განრიგი (40 სთ-ზე მეტი დატვირთვით), რაც რეალურად მოქნილობისთვის იქნა მითითებული როგორც გასაუბრებით დადგინდა ადმინისტრაციასთან და სტაჟიორთან. სასურველია, სამუშაო საათების თაობაზე სწორად იქნეს მითითებული სტაჟირების თაობაზე შეთანხმებებში.

4.1.2.3 სასურველია, დაზუსტდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ცალკეულ შემთხვევაში, როცა მოთხოვნილი განათლებაც და სამუშაო გამოცდილებაც ზოგადი ხასიათისაა, საერთო ჯამში ზუსტად განისაზღვროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

5.2.2.3. სასურველია დაწესებულებამ რეესტრის მწარმოებლის პოზიციაზე დაამატოს სამტატო ერთეული და უზრუნველყოს რეესტრის სრულყოფილად შევსება, მიუხედავად იმისა, რომ მასში ყველა ძირითადი ინფორმაცია ასახულია.

ბ. 2.4.1.4. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის შესახებ წესებში სასურველია ტექნიკური უზუსტობების გასწორება

კოლეჯი დაეთანხმა და გაიზიარა განმავითარებელი რეკომენდაციები.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, შპს საზოგადოებრივ კოლეჯის ფანასკერტელის საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, რაც მნიშვნელოვანია სასწავლო და სამუშაო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობისთვის. ყველა სასწავლო და სამუშაო სივრცე აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი თბილისში განლაგებულია გიგო ზაზიაშვილის ქ. N1-ში. დაწესებულების ფართი შედგება შემდეგი სივრცეებისგან: ფოიე, 8 სასწავლო აუდიტორია A,B,C, ქიმიური ლაბორატორია, აფთიაქის სიმულაციური გარემო, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი 3 სასწავლო ფართი, მათ შორის საფინანსო სერვისებისა და ინფორმაციის ტექნოლოგიების პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის, ბიბლიოთეკა შესაბამისი სამკითხველო სივრცით, არქივი, ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებლების სამუშაო სივრცეები, სარეკრეაციო სივრცეები, 3 სანიტარული კვანძი, რომელთა შორის ერთი ადაპტირებულია სსსმ/შშმ პირთა საჭიროებისთვის. ხოლო თელავში კი განლაგებულია გიორგი ბარძიმოვის ქ. N42-ში. დაწესებულების ფართი შედგება შემდეგი სივრცეებისგან: ფოიე, 7 სასწავლო აუდიტორია A,B,C, ქიმიური ლაბორატორია, აფთიაქის სიმულაციური გარემო, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი 2 სასწავლო ფართი, მათ შორის საფინანსო სერვისებისა და ინფორმაციის ტექნოლოგიების პროფესიული პროგრამების

განხორციელებისთვის, ბიბლიოთეკა შესაბამისი სამკითხველო სივრცით, არქივი, ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებლების სამუშაო სივრცეები, სარეკრეაციო სივრცეები, 3 სანიტარული კვანძი, რომელთა შორის ერთი ადაპტირებულია სსსმ/შშმ პირთა საჭიროებისთვის. კოლეჯის სასწავლო თუ დამხმარე ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა, კომპიუტერული ტექნიკა, შიდა სივრცეში განთავსებულია მოსასვენებელი ადგილები, კოლეჯს უკანა მხარეს მცირე ზომის ეზო, რომელიც განკუთვნილია, როგორც დასვენებისთვის, ასევე თავშეყრისთვის შეუზღუდავადაა ხელმისაწვდომი პროფესიული სტუდენტებისთვის. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებაში როგორც ქ. თბილისში, ისე ქ. თელავში განთავსებულია ბიბლიოთეკები, რომლებიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, მათ შორის, შშმ პირებისთვისაც. აქტიურად მიმდინარეობს საგანმანათლებლო რესურსის გაციფრულება მისი ვებგვერდზე განთავსების მიზნით. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სამკითხველოში განთავსებულია ორი ლექტოპი და კომბაინი ასლების გადაღებისთვის. შენობაში ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო ასევე ქსელური ინტერნეტი, რაც დადასტურდება ვიზიტის დროს ადგილზე გადამოწმებითა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინტერნეტის საფასურის გადახდის დოკუმენტაციით. დაწესებულებაში თბილისში ადმინისტრაციული პერსონალისთვის გამოყოფილია 7 პერსონალური კომპიუტერი, ხოლო სასწავლო პროცესისთვის კი 90 კომპიუტერი, ხოლო თელავში ადმინისტრაციული პერსონალისთვის 6 პერსონალური კომპიუტერი, ხოლო სასწავლო პროცესისთვის კი 38 კომპიუტერი, თითოეული მათგანი უზრუნველყოფილია უწყვეტ ინტერნეტთან კავშირით და დანიშნულების შესაბამისი პარამეტრები აქვს. დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას, დაწესებულებას კანონმდებლობით მოთხოვნილს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ფუნქციები შეთავსებული აქვს კოლეჯის იურისტს და მის სამუშაო აღწერილობაში დამატებით პერსონალურ მონაცემთა დაცვისთვის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობებიც აქვს გაწერილი. კოლეჯის ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში, სასწავლო აუდიტორიებში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი კომპიუტერები, რომლითაც სარგებლობენ პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები. . დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, შემდეგი მისამართით: <https://fanaskerteli.edu.ge> და სოციალური ქსელის გვერდი: <https://www.facebook.com/fanaskerteli.edu.ge>. ორივე სახის გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ძირითადი საკონტაქტო ინფორმაცია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება, დაკმაყოფილებულია და საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის ადმინისტრაცია ფინანსურ ანგარიშს აწარმოებს ყოველკვარტლურად და წლიურად. იგი ასაჯაროებს მას კანონმდებლობის შესაბამისად და ამ ანგარიშებს იყენებს საკუთარი საქმიანობის ფინანსური მდგრადობის ანალიზისა და შეფასებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია(სააფთიაქო)“ – (ქ. თბილისის ლოკაცია)
ექსპერტის განცხადებით, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ახორციელებს შემდეგ მისამართზე ქალაქ თბილისი, გიგო ზაზიაშვილის ქ. N1, სადაც პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები: AC გარემო, აუდიტორია 30 პროფესიულ სტუდენტზე საჭირო აღჭურვილობით. ორი AB გარემო - 20 და 25 პროფესიულ სტუდენტისთვის. აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით,

მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი). კომპიუტერები, პრინტერი(მხოლოდ ფარმაცია(სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის). ორი A გარემო-30 დ ა25 პროფესიულ სტუდენტზე. აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი). მოდული პირველადი გადაუდებელი დახმარება ხორციელდება სპეციალურად მოდულისთვის მოთხოვნილი მასალა-ინვენტარით აღჭურვილ AC გარემოში. ექსპერტებმა დაათვალიერეს ყველა სასწავლო გარემოში განთავსებული მატერიალური რესურსი. რაც სრულ შესაბამისობაშია პროგრამით გაწერილ მოთხოვნებთან. ფარმაცია(სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 8 მოდულის პრაქტიკული შედეგები ხორციელდება კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებში ხელშეკრულების საფუძველზე. პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება: სს „გეფა“ მემორანდუმი N20/პ - 1 ივნისი 2018 წ.; შეთანხმება N41-პ 200 სტუდენტი 05 დეკემბერი 2018წ; ცვლილება N20/პ 23 თებერვალი 2021წ.; ხელშეკრულება N8 01 ნოემბერი 2023წ. -160 პროფესიული სტუდენტი (აქედან 40 თელავში). ვადა2030 წლის 31იანვარი შპს „იმპექსფარმი“ ხელშეკრულება N9- 9 ნოემბერი 2023წ 160 პროფესიული სტუდენტი (აქედან 40 თელავში). ვადა 31 დეკემბერი 2030წ. შპს,, პსპ ფარმა” მემორანდუმი N2025/03 160 პროფესიული სტუდენტი. პრაქტიკის განხორციელების არეალი თბილისი და კახეთის რეგიონი წარმოდგენილი ხელშეკრულებები ითვალისწინებს 160-160 (მათ შორის 40-40 კახეთის რეგიონში) პროფესიული სტუდენტის მომსახურებას, პრაქტიკის ობიექტზე დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების აუცილებლობას სწავლის შედეგების მისაღწევად. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტების პასუხისმგებელ პირებს-აფთიაქების მენეჯერებს. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას მათ დაადასტურეს, რომ საგანმანათლებლო პროცესში შეფერხების გარეშე იყენებენ მოდულების შესაბამის რესურს, როგორც კოლეჯში ასევე რეალურ სამუშაო ადგილებზე-აფთიაქებში პრაქტიკული სწავლების დროს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2025 წლის მიღებისთვის კოლეჯს გამოცხადებული აქვს თბილისში 60 ადგილი. აღსანიშნავია რომ ვიზიტის დროს რეგისტრაცია 2 დღის დაწყებული იყო და მსურველთა - რეგისტრირებულთა რაოდენობა აღნიშნულ პროგრამაზე უკვე - 49. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია(სააფთიაქო) დაუფლების მსურველთა მაღალ მოთხოვნას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (ლიტერატურა) ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიულ სტუდენტებსა და განმახორციელებლებს. კოლეჯში უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის სწავლისა და მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, თუმცა ავტორიზაციის ექსპერტთა აზრით სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის შესახებ წესებში სასურველია ტექნიკური უზუსტობების გასწორება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია(სააფთიაქო)“ (ქ. თელავის ლოკაცია)

ექსპერტის განცხადებით, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ახორციელებს შემდეგ მისამართზე ქალაქ თელავი, ბარდიშოვის 42, სადაც პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს

შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები: AC გარემო - აუდიტორია (ფარმაცევტული ლაბორატორია ტექნოლოგიური და ქიმიური ლაბორატორიული პრაქტიკული სამუშაოებისათვის) 20 (პროფესიულ სტუდენტზე საჭირო აღჭურვილობით). AB გარემო - 25 პროფესიული სტუდენტისთვის. აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი). კომპიუტერები, პრინტერი(მხოლოდ ფარმაცია(სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის). A გარემო-20 პროფესიულ სტუდენტზე. აუდიტორია აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი). აქვე არის სიმულაციური აფთიაქის კუთხე სამკურნალწამლო საშუალებების-წამლების მეორადი შეფუთვებით და მოდულებით გათვალისწინებული სხვა მასალით. ექსპერტებმა დაათვალიერეს ყველა სასწავლო გარემოში განთავსებული მატერიალური რესურსი. რაც სრულ შესაბამისობაშია პროგრამით გაწერილ მოთხოვნებთან. ფარმაცია(სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 8 მოდულის პრაქტიკული შედეგები ხორციელდება კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებში ხელშეკრულების საფუძველზე. წარმოდგენილი ხელშეკრულებები ითვალისწინებს 160-160(მათ შორის 40-40 კახეთის რეგიონში) პროფესიული სტუდენტის მომსახურებას, პრაქტიკის ობიექტზე დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების აუცილებლობას სწავლის შედეგების მისაღწევად. ვიზიტის დროს ექსპერტებმა შერჩევით დაათვალიერეს სასწავლო პროცესში ჩართული აფთიაქები, გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტების პასუხისმგებელ პირებს-აფთიაქების მენეჯერებს. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას მათ დაადასტურეს, რომ საგანმანათლებლო პროცესში შეფერხების გარეშე იყენებენ მოდულების შესაბამის რესურსს, როგორც კოლეჯში ასევე რეალურ სამუშაო ადგილებზე-აფთიაქებში პრაქტიკული სწავლების დროს. ვიზიტის პერიოდისთვის საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებოდა 2023-2024 წლის მიღების 30 აქტიური სტატუსის პროფესიული სტუდენტი, სტატუსი შეჩერებული 2 და მობილობით გადასული 2 სტუდენტი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2025 წლის მიღებისთვის კოლეჯს გამოცხადებული აქვს თელავში 20 ადგილი. აღსანიშნავია რომ ვიზიტის დროს რეგისტრაცია 2 დღის დაწყებული იყო და მსურველთა - რეგისტრირებულთა რაოდენობა აღნიშნულ პროგრამაზე უკვე - 11. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის მენეჯერი სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახდენს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები (მაგალითად, მათი დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში), შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა. წარმოდგენილ პროგრამაზე გათვალისწინებულია 19 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი. მათ შორის - პროფესიული მოდულების 12, ხოლო 7 ზოგადი მოდულების განმახორციელებელია. ექსპერტთა მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვები. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, ინდიკატორი 2.2.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. განსახილველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (ლიტერატურა) ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიულ სტუდენტებსა და განმახორციელებლებს. ელექტრონული

სასწავლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო ბიბლიოთეკის მართვისა და ელექტრონული კატალოგის სისტემისთვის კოლეჯი იყენებს OpenBiblio-ს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ კოლეჯის სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ ხელმისაწვდომი, თანამედროვე და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია(სააფთიაქო) ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ ფარმაცევტულ კომპანიებთან: სს „გეფა“, შპს „იმპექსფარმი“, შპს „პსკ ფარმა“. აღსანიშნავია, რომ მემორანდუმი, შპს პსკ ფარმასთან ახალი გაფორმებულია (ვიზიტის დროს მოხდა დამატებით ექსპერტებისთვის გაზიარება). რაც ადასტურებს დამსაქმებლის ინტერესს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საფინანსო სერვისები“ (ქ. თბილისის ლოკაცია)

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საფინანსო სერვისები სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას კოლეჯი უზრუნველყოფს საკუთარი რესურსით და პარტნიორი დაწესებულებების ბაზაზე. კოლეჯს გააჩნია ფართი, მდებარე: ქ. თბილისი, გ. ზაზიაშვილის ქ. N1, სადაც განთავსებულია A-B სასწავლო გარემო. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის განკუთვნილია 20 ადგილიანი A-B სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ოდენობის სამუშაო მაგიდეებითა და სკამებით, Notebook-ებით, მასწავლებლის სამუშაო ადგილით, სადემონსტრაციო საშუალებებით, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის განკუთვნილი პროგრამის შესაბამისი რესურსით და პროგრამული უზრუნველყოფით. პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ პარტნიორ ორგანიზაციებთან: სს „ტერაბანკი“ (60 პროფესიული სტუდენტი-ტერაბანკის ფილიალები), სს „ლიბერთი ბანკი“ (80 პროფესიული სტუდენტი-ლიბერთი ბანკის ფილიალები) და სს „გუდვილი“ (40 პროფესიული სტუდენტი-გუდვილის ფილიალები) და პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით ხელშეკრულების ფარგლებში თანამშრომლობს შპს „ალტა სოფთვეართან“ წარმოდგენილი ხელშეკრულებები ითვალისწინებს 160-160(მათ შორის 40-40 კახეთის რეგიონში) პროფესიული სტუდენტის მომსახურებას, პრაქტიკის ობიექტზე დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების აუცილებლობას სწავლის შედეგების მისაღწევად. ვიზიტის დროს ექსპერტებმა შერჩევით დაათვალიერეს სასწავლო პროცესში ჩართული აფთიაქები, გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტების პასუხისმგებელ პირებს-აფთიაქების მენეჯერებს. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას მათ დაადასტურეს, რომ საგანმანათლებლო პროცესში შეფერხების გარეშე იყენებენ მოდულების შესაბამის რესურსს, როგორც კოლეჯში ასევე რეალურ სამუშაო ადგილებზე-აფთიაქებში პრაქტიკული სწავლების დროს. წარმოდგენილ პროგრამაზე გათვალისწინებულია 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან: 7 - პროფესიული მოდულების და 13 - ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირია. 1 პროფესიული მასწავლებელი განმახორციელებელია როგორც პროფესიულ მოდულებზე, ასევე ზოგად მოდულებზე. მასწავლებლის/სტუდენტის შეფარდება არის 19/40.ექსპერტთა მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვები. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია სსსმ პირებს წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კოლეჯი

უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საფინანსო სერვისები“ (ქ. თელავის ლოკაცია)

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საფინანსო სერვისები სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას კოლეჯი უზრუნველყოფს საკუთარი რესურსით და პარტნიორი დაწესებულებების ბაზაზე. კოლეჯს გააჩნია ფართი, მდებარე: ქ. თელავი, ბარძიმოვის ქ. N42, სადაც განთავსებულია A-B სასწავლო გარემო. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის განკუთვნილია 20 ადგილიანი A-B სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ოდენობის სამუშაო მაგიდებითა და სკამებით, ლეპტოპებით, მასწავლებლის სამუშაო ადგილით, სადემონსტრაციო საშუალებებით, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის განკუთვნილი პროგრამის შესაბამისი რესურსით და პროგრამული უზრუნველყოფით. პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ პარტნიორ ორგანიზაციებთან: სს „ტერაბანკი“ (60 პროფესიული სტუდენტი-ტერაბანკის ფილიალები, მათ შორის თელავის ფილიალი), სს „ლიბერთი ბანკი“ (80 პროფესიული სტუდენტი-ლიბერთი ბანკის ფილიალები, მათ შორის თელავის ფილიალები) და შპს „პაპ ჯგუფი“ (20 პროფესიული სტუდენტი პაპ ჯგუფის ფილიალები-თელავი) და პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით ხელშეკრულების ფარგლებში თანამშრომლობს შპს „ალტა სოფთვეართან“. სს ლიბერთი ბანკთან და სს „ტერაბანკთან“ წარმოდგენილი ხელშეკრულებები ითვალისწინებს 80-60 (მათ შორის 20-20 კახეთის რეგიონში) პროფესიული სტუდენტის მომსახურებას, პრაქტიკის ობიექტზე დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების აუცილებლობას სწავლის შედეგების მისაღწევად. „პაპ ჯგუფთან“ ხელშეკრულება გაფორმებული მხოლოდ კახეთის მასშტაბით და გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე. ვიზიტის დროს ექსპერტებმა შერჩევით დაათვალიერეს სასწავლო პროცესში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები, გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტების პასუხისმგებელ პირებს ბანკის წარმომადგენელს და მაღაზიის მენეჯერს. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას მათ დაადასტურეს, რომ საგანმანათლებლო პროცესში შეფერხების გარეშე იყენებენ მოდულების შესაბამის რესურსს, როგორც კოლეჯში ასევე რეალურ სამუშაო ადგილებზე-ბანკებსა და მაღაზიაში პრაქტიკული სწავლების დროს. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის მენეჯერი სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახდენს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები (მაგალითად, მათი დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში), შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა. წარმოდგენილ პროგრამაზე გათვალისწინებულია 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან პროფესიულ მოდულებს ახორციელებს 4 პროფესიული მასწავლებელი, ზოგად მოდულებს - 9. მასწავლებლის/სტუდენტის შეფარდება არის 13/20. ექსპერტთა მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვები, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. კოლეჯში უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის სწავლისა და მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „აღმზრდელი“ (ქ. თელავის ლოკაცია)

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აქვს ერთი აუდიტორია A იმიტირებული სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ პროგრამის „აღმზრდელი“ პროფესიული სტუდენტებისთვის (25 პროფესიულ სტუდენტზე) აუდიტორიაში განთავსებულია: მაგიდა და სკამი 25 პროფესიულ სტუდენტზე. დაწესებულებას პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთან (17.12.2024წ. #22), რომელიც ვალდებულია იღებს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს მომსახურება გაუწიოს მის დაქვემდებარებაში შემავალ ორ ბაგა-ბაღში #6 და #7. დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ასევე, ააიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთან (17.12.2024წ #არ აქვს) #3 და #2 ბაგა-ბაღებთან. ხელშეკრულების თანახმად თითოეული პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულია იღებს მომსახურება გაუწიოს კოლეჯის 25-25 პროფესიულ სტუდენტს, ერთდროულად, ბაგა-ბაღის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში გადანაწილებით. პარტნიორ ორგანიზაციებში გათვალისწინებულია 2 პროფესიული მოდულის სწავლის შედეგების გატანა. 1. გაცნობითი პრაქტიკა; 2. პრაქტიკული პროექტი სკოლამდელი აღზრდა და განათლება. ხელშეკრულება გულისხმობს მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობას და მიზნად ისახავს პრაქტიკული კომპონენტის გავლის, დასაქმებისა და პროფესიული უნარების განვითარების შესაძლებლობის მოძიებაში პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობას, პრაქტიკის განხორციელებისთვის საკადრო რეზერვის შექმნას და მისი სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, იმისთვის, რომ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა პრაქტიკაში გამოსცადონ მიღებული თეორიული ცოდნა და უნარები და პრაქტიკული უნარების განვითარების გზით უკეთ მოემზადონ მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის. გასაუბრებიდან და ვიზუალური დათვალიერებიდან დადგინდა, რომ დაწესებულება დაკომპლექტებულია 8, აღსაზრდელთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფით და მზადაა პრაქტიკული კომპონენტის შესწავლის მიზნით მომსახურება გაუწიოს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის მენეჯერი სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახდენს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები (მაგალითად, მათი დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში), შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა. წარმოდგენილ პროგრამაზე გათვალისწინებულია 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან: 5 - პროფესიული მოდულების და 8 - ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირია. 1 პროფესიული მასწავლებელი განმახორციელებელია როგორც პროფესიულ მოდულებზე, ასევე ზოგად მოდულზეც. .ექსპერტთა მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვები. პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია სსსმ პირებს წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „აღმზრდელი“ (ქ. თბილისის ლოკაცია)

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აქვს ერთი აუდიტორია AB (იმიტირებული) სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ პროგრამის „აღმზრდელი“ პროფესიული სტუდენტებისთვის (25 პროფესიულ სტუდენტზე) აუდიტორიაში განთავსებულია: მაგიდა და სკამი 25 პროფესიულ სტუდენტზე, 25 კომპიუტერი, კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის 1ც; ტელევიზორი დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1 ც; დაფა - 1ც; კომბაინი - 1ც; კარადა რესურსებისთვის, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები, თემატური თვალსაჩინოებები, დაწესებულებას პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ქ. თბილისის #79 (06.12.2024წ.) და #25 (05.10.2024წ) ბაგა-ბაღებთან. ხელშეკრულების თანახმად თითოეული პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულია იღებს მომსახურება გაუწიოს კოლეჯის 25-25 პროფესიულ სტუდენტს, ერთდროულად, ბაგა-ბაღის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში გადანაწილებით. პარტნიორ ორგანიზაციებში გათვალისწინებულია 2 პროფესიული მოდულის სწავლის შედეგების გატანა. ხელშეკრულება გულისხმობს მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობას და მიზნად ისახავს პრაქტიკული კომპონენტის გავლის, დასაქმებისა და პროფესიული უნარების განვითარების შესაძლებლობის მოძიებაში პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობას, პრაქტიკის განხორციელებისთვის საკადრო რეზერვის შექმნას და მისი სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, იმისთვის, რომ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა პრაქტიკაში გამოსცადონ მიღებული თეორიული ცოდნა და უნარები და პრაქტიკული უნარების განვითარების გზით უკეთ მოემზადონ მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის. ექსპერტები გაესაუბრნენ ერთ ერთი პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელს. გასაუბრებიდან დადგინდა, რომ დაწესებულება დაკომპლექტებულია 11-ი, აღსაზრდელთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფით. ბაგა-ბაღს რამდენიმე წლიანი გამოცდილება აქვს აღნიშნული მიმართულებით, პრაქტიკული კომპონენტის გავლის მიზნით მომსახურება გაუწიოს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის მენეჯერი სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახდენს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები (მაგალითად, მათი დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში), შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა. წარმოდგენილ პროგრამაზე გათვალისწინებულია 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან: 5 - პროფესიული მოდულების და 12 - ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირია. ექსპერტთა მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვები. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია სსსმ პირებს წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“ (ქ. თბილისის ლოკაცია)

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქალაქ თბილისის გიგო ზაზიაშვილის ქN1 . პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. ორი A C გარემო N4-N13

აღჭურვილი 30/30 პროფესიულ სტუდენტზე საჭირო აღჭურვილობით, ორი B გარემო 30 პროფესიულ სტუდენტზე აღჭურვილი. საექთნო განათლების კლინიკური მოდულები ხორციელდება კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებში. შესაბამისად, დაწესებულებას აქვს საშუალება მიიღოს საექთნო განათლების პროგრამის ფარგლებში 90 პროფესიული სტუდენტი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამტკიცებული მეთოდოლოგიით შესაბამისად, სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა მისაღები ოდენობა - 90 პროფესიული სტუდენტი (ერთი სასწავლო წლისათვის ერთი ჯგუფი 30 სტუდენტი). ანუ პირველი სასწავლო და მეორე სასწავლო წლის სტუდენტები, ხოლო მესამე სასწავლო წელი სრულად გადის პრაქტიკის ობიექტებზე. ყველა გარემოში განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი და 30 პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი, რომელიც სრულად შეესაბამება სტანდარტში გაწერილ მატერიალური რესურსის ჩამონათვალს. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შესაბამისი ლიცენზიების მქონე კლინიკებთან. წარმოდგენილი ხელშეკრულებები ითვალისწინებს კვოტას 90 პროფესიული სტუდენტი. აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენებას სწავლის შედეგების მისაღწევად. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის მენეჯერი სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახდენს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები (მაგალითად, მათი დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში), შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა. წარმოდგენილ პროგრამაზე გათვალისწინებულია 31 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან: 23 - პროფესიული მოდულების და 8 - ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირია. ექსპერტთა მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვები. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. კოლეჯში უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის სწავლისა და მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ აღნიშნულ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა როგორც პროგრამით გათვალისწინებულ, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებზე, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლების ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ დაწესებულებებთან: ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარეტასი“, შპს „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორკ“, შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი საუნივერსიტეტო კლინიკა“, შპს „ჰერა 2011“,)შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი. ექსპერტთა აზრით, აღნიშნული კლინიკა უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოდულების ფარგლებში პრაქტიკის განხორციელებას, ექსპერტები გაესაუბრნენ პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომელმაც დაადასტურა და აღნიშნეს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელთან თანამშრომლობის სურვილი, კარგი პრაქტიკა და მომავალი პერსპექტივები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“ (ქ. თელავის ლოკაცია)

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქალაქ თელავი ბარდომოვის ქ. N42. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. A B C გარემო აღჭურვილი 35 პროფესიულ სტუდენტზე საჭირო აღჭურვილობით, საექთნო განათლების კლინიკური მოდულები ხორციელდება კოლეჯის 4 პარტნიორ ორგანიზაციებში. შესაბამისად, დაწესებულებას აქვს საშუალება მიიღოს საექთნო განათლების პროგრამის ფარგლებში 118 პროფესიული სტუდენტი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამტკიცებული მეთოდოლოგიით შესაბამისად, სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა მისაღები ოდენობა - 118 პროფესიული სტუდენტი (ერთი სასწავლო წლისათვის ერთი ჯგუფი 35 სტუდენტი). ანუ პირველი სასწავლო და მეორე სასწავლო წლის სტუდენტები, ხოლო მესამე სასწავლო წელი სრულად გადის პრაქტიკის ობიექტებზე. ყველა გარემოში განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი და 35 პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი ასევე დაფა, პრინტერი, მონიტორი და პროგრამაში დანართის სახით წარმოდგენილი საჭირო მატერიალური რესურსი, რომელიც სრულად შეესაბამება სტანდარტში გაწერილ მატერიალური რესურსის ჩამონათვალს. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შესაბამისი ლიცენზიების მქონე კლინიკებთან. წარმოდგენილი ხელშეკრულებები ითვალისწინებს კვტას 118 პროფესიული სტუდენტი. აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენებას სწავლის შედეგების მისაღწევად. წარმოდგენილ პროგრამაზე გათვალისწინებულია 33 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან: 27 - პროფესიული მოდულების და 6 - ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირია. ექსპერტთა მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია სსსმ პირებს წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მოხდა ვიზიტი ექსპერტებთან ერთად შპს “თელავის რაიონულ საავადმყოფოში“ მისამართი ქ. თელავი ალადაშვილის ქ. N2, გავესაუბრეთ კლინიკის მენეჯერს, შევხვდით პროგრამის ინსტრუქტორებს, რომლებსაც ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული კოლეჯთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად, გავეცანით კლინიკაში მიმდინარე პროცესებს; მათ ყავთ საუკეთესო მედდები რომლებსაც კოლეჯმა სასწავლო მიმართულებით ჩაუტარა ტრენინგები, იცნობენ სასწავლო მოდულებს, იციან სტუდენტებთან მიდგომები, ხელს უწყობენ მათ დასაქმების კუთხითაც, პრაქტიკაზე მისულ სტუდენტებს გადაამზადებენ იმ მოდულების ფარგლებში რაც ხელშეკრულებითაა გაწერილი. კლინიკის მთავარი მედდა და მენეჯერი პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობს, უყვარს თავის პროფესია და ზრუნავს სტუდენტებთან დასაქმების კუთხით. ფსიქიატრიული მიმართულებით შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს“ ორი კვირით ადრე აცნობენ და უთანხმებენ პრაქტიკაზე გამსვლელი სტუდენტების რაოდენობას, განრიგს, თელავიდან თბილისში ტრანსპორტირებას და უსაფრთხოებას აგვარებს კოლეჯი ორ ცვლაში. სტუდენტებთან გასაუბრებით, გამოითქვა კმაყოფილება ამ საკითხზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ინფორმაციის ტექნოლოგია“ (ქ. თბილისის ლოკაცია)

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯს გააჩნია ფართი, მდებარე: ქ. თბილისი, გ. ზაზიაშვილის ქ. N1, სადაც განთავსებულია სასწავლო აუდიტორია B გარემო. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება - 40 პროფესიული სტუდენტი (2 ცვლაში). საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულ აუდიტორიაში განთავსებულია პროფესიული მასწავლებლისთვის მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ასევე აუდიტორიაში არის ციფრული დემონსტრირების საშუალება ტელევიზორი, კარადა ჩამკეტი, სადაც განთავსებულია პროფესიული მოდულებისთვის საჭირო აღჭურვილობა, 20 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტებისთვის, 20 კომპიუტერი შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. წარმოდგენილ პროგრამაზე გათვალისწინებულია 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან: 3- პროფესიული მოდულების და 14 - ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირია. 1 პროფესიული მასწავლებელი განმახორციელებელია როგორც პროფესიულ მოდულებზე, ასევე ზოგად მოდულზეც. ექსპერტთა მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვები. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო ბიბლიოთეკის მართვისა და ელექტრონული კატალოგის სისტემისთვის კოლეჯი იყენებს OpenBiblio-ს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ კოლეჯის სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ ხელმისაწვდომი, თანამედროვე და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები. დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია სსსმ პირებს წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას არ ესაჭიროება პრაქტიკის ობიექტი, ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის მიღწევა შესაძლებელია კოლეჯის ბაზაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს მიმართა კითხვით, როგორია კოლეჯის თანამშრომლების განაწილება თელავისა და თბილისის ფილიალებში და იმართება თუ არა ადმინისტრაციული ნაწილი თბილისიდან, მაგალითად, ხარისხის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და სხვა სტრუქტურული ერთეულები.

ექსპერტის განმარტებით, ძირითადი ფუნქციები თელავის ფილიალშიც დუბლირდება და პოზიციები, რომლებიც წარმოდგენილი არიან თბილისში, ანალოგიურად ჰყავს თელავის ფილიალსაც. ექსპერტის თქმით, ხარისხის მენეჯერი და სასწავლო დეპარტამენტის მენეჯერი ერთია, თუმცა ხელშეკრულებით მითითებული აქვთ ორივე მისამართი. ამასთან, თელავის ფილიალს ხარისხის მიმართულებით ცალკე სპეციალისტი ჰყავს, რაც უზრუნველყოფს ფუნქციური პასუხისმგებლობების დამოუკიდებლად შესრულებას, მაშინ როდესაც მართვა ცენტრალიზებული რჩება და განხორციელდება თბილისის ფილიალიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, თუ რომელი ერთი ან ორი განმავითარებელი რეკომენდაცია მიიჩნია კოლეჯმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანად და რომელზე მოხდა უფრო სიღრმისეული ფოკუსირება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯი მუდმივად ზრუნავს განვითარებაზე და შესაბამისად, ყველა რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტების მიერ იქნა მოწოდებული, ყურადღების საგანი გახდება. მისი განმარტებით, რეკომენდაციების განხილვა დაწესებულებაში სიღრმისეულად მიმდინარეობს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე დოკუმენტების მოდიფიცირებას ეხება. მან დაამატა, რომ ზოგ შემთხვევაში კოლეჯი თავს იკავებდა ცვლილებების გზით წასვლისგან და არჩევანს ახლებურად დოკუმენტის დამტკიცებაზე აკეთებდა, თუმცა ამ ეტაპზე იზიარებს რეკომენდაციას, რომ უფრო მიზანშეწონილია ცვლილების გზით წასვლა და პროცესის დინამიკაში დანახვა. დაწესებულების წარმომადგენელმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობაზე და აღნიშნა, რომ კახეთის რეგიონში, განსაკუთრებით ახმეტის რაიონში, მჭიდრო ურთიერთობა მუნიციპალიტეტებთან აუცილებელია, რადგან რეგიონში არც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა და არც მოკლევადიანი პროგრამები, რომლებიც აღმზრდელებს კვალიფიკაციის ამაღლებაში დაეხმარება. გარდა ამისა, მან ისაუბრა დიპლომების გაცემასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზეც. წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული საკითხის მართვა ხშირად დაკავშირებულია სტამბის სამუშაო გრაფიკზე და სხვა კოლეჯების ერთდროულ შეკვეთებზე, რაც ზუსტ ვადებზე ზეგავლენას ახდენს. მიუხედავად ამისა, დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციას და დაგეგმილია გონივრული ვადების განსაზღვრა დიპლომების გაცემის პროცესის გასაუმჯობესებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელს (ს/კ:202066405) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 3).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 20 ივნისი.

მეოთხე საკითხი: შპს ცხუმ-ეგრისის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მოისწრაფიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. ა.წ. 11-13 მარტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი შპს „ცხუმ-ეგრისში“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის N162215 ბრძანების შესაბამისად (ცვლილება ბრძანებაში 2025 წლის 10 მარტის N 261687 ბრძანება) საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. კერძოდ, ვიზიტის მიზანი იყო: შპს „ცხუმ-ეგრისის“ მიერ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და "საფინანსო სერვისების", "საექთნო საქმის"; "ფარმაციის (სააფთიაქო)", „ელექტროობის“, „აღმზრდელის“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 31-ე მუხლის-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შემოწმება. ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტამდე შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეიკრიბნენ zoom-ის საშუალებით, განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად წამოჭრილი საკითხები, შეიმუშავეს ვიზიტის დღის განრიგი. 2025 წლის 11,12 და 13 მარტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა, 11 მარტს „საექთნო განათლების“ 12 მარტს „აღმზრდელის“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიების“ და 13 მარტს "ფარმაციის (სააფთიაქო)", „ელექტროობის“ და "საფინანსო სერვისების" პროგრამების დარგის ექსპერტებმა განახორციელეს შპს „ცხუმ-ეგრისში“ ინსტიტუციური და პროგრამული სტანდარტების შეფასება დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის განრიგის დაცვით. ვიზიტის ფარგლებში მათ მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამატებით

წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რევიზირებული იქნა კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები, ასევე, გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, დარგის ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებს და განმახორციელებლებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, შეაფასეს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, დაათვალიერეს მათი ფაქტობრივი მდგომარეობა, ფლობის დოკუმენტაცია, გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს, შეიმუშავეს რეკომენდაციები. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში, დაწესებულება მაქსიმალურად ეცადა ხელი შეეწყო ექსპერტებისთვის შეფასების პროცესისთვის საჭირო დოკუმენტაციისა თუ ინტერვიუების მონაწილეების მობილიზებით. 2025 წლის 13 მარტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულებას წარუდგინა პრეზენტაცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯერებული მიგნებების შესახებ.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ა. ზოგადი ხასიათის განმავითარებელი რეკომენდაციები:

- კოლეჯში სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებული პირების მიერ შესრულებული დოკუმენტები სასურველია მოიცავდეს შემსრულებლებისა და უფლებამოსილი პირ(ებ)ის ხელმოწერებს;
- დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტების განახლება უმეტეს შემთხვევაში მომხდარია ახალი დოკუმენტების დამტკიცებით, მხოლოდ ნაწილია წარმოდგენილი მოდიფიცირების გზით. სასურველია დაწესებულებაში დამკვიდრდეს ერთიანი მიდგომა და შიდა მარეგულირებელი აქტების განახლება განხორციელდეს მოდიფიცირების გზით;
- რიგი საკითხები რეგულირდება ორ ან მეტ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოდიან, უმეტესად ავსებენ ერთმანეთს, მაინც სასურველია თითო დასარეგულირებელი საკითხი იყოს თითო მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი;
- სასურველია კოლეჯისთვის მომზადდეს შენობის ელექტრომომარაგების ცალხაზოვანი სქემა და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილზე.

ინდიკატორების მიხედვით განმავითარებელი რეკომენდაციები:

1.2.2.1. სასურველია სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის „შპს ცხუმ-ვერისის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიაში“ განისაზღვროს სავალდებულო მონიტორინგი გონივრული ვადის მითითებით, რომლის მიხედვითაც მოხდება ხარისხის განვითარების გეგმაში სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიშის მომზადების ვადების განსაზღვრა და მონიტორინგის შედეგების მიხედვით მოახდინოს საჭიროების შემთხვევაში სამოქმედო გეგმის მოდიფიცირებული ვერსიის დამტკიცება.

3.1.1.5. სასურველია დოკუმენტში, რომლითაც რეგულირდება ინდივიდუალური გეგმების მომზადება დაზუსტდეს ტერმინოლოგია და სიტყვა „უფლებამოსილი“ ამოიცვალოს „ჩართულობით“, ვინაიდან კოლეჯის პროცესები დოკუმენტურად რეალურად ადასტურებს ინდივიდუალური გეგმების პროფესიული სტუდენტების ჩართულობით მომზადებას;

3.2.2.3. სასურველია დაწესებულებამ დახვეწოს კვლევის მეთოდოლოგია და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა განივითაროს კვლევის წარმოებისა და ანალიზის უნარები.

3.2.2.4. სასურველია დაწესებულებამ გაწეროს ვადებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიურ სამოქმედო გეგმაში კარიერული მომსახურების შეფასება, როგორც კოლეჯის ფუნქციონირების ერთერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი;

4.1.1.1. კოლეჯის რეესტრის წარმოება მოითხოვს დიდ ძალისხმევას და დროს, სასურველია, რომ დაწესებულებამ განაცალკევოს საქმისწარმოებისა და რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირები, შესაძლებლობის ფარგლებში აიყვანოს კადრი ან გადააწილოს რეესტრის წარმოების ფუნქციები სხვა, ნაკლები ფუნქციების მქონე თანამშრომელზე.

4.1.2.2. სასურველია, რომ დაწესებულებამ, სამომავლოდ, თავისუფალი ვაკანტური ადგილის შევსების მიზნით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უფრო კონკურენტუნარიანი კადრის მოზიდვის მიზნით გამოიყენოს კონკურსის გზით თანამშრომელთა შერჩევა.

4.1.2.3. სასურველია, რომ დაწესებულებამ მოახდინოს პერსონალის პირადი საქმეების პერიოდული განახლება, იმისთვის, რომ პირად საქმეში განთავსებული იყოს განახლებული მონაცემები მათი უახლესი მიღწევების შესახებ.

4.2.1.1. ვინაიდან კოლეჯს „პერსონალის მართვის წესში“ გამოსაცდელი ვადით აყვანილი პერსონალის შეფასების კრიტერიუმები დასახვეწია, შეფასების კრიტერიუმები ზოგადააა გაწერილი, ხოლო პერსონალის შეფასების ანალიზი (დანართი 2) აზუსტებს პერსონალის შეფასებებს ქულობრივი სისტემით, ამიტომ, სასურველია აღნიშნულ დანართში მოცემული ინფორმაცია გადატანილი იყოს მარეგულირებელ დოკუმენტში და გახდეს მკაფიო ჩანაწერი გამოსაცდელი ვადით თანამშრომლის შეფასების შესახებ;

4.2.1.2. სასურველია, რომ საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერმა ხარისხის მართვის მენეჯერთან კოორდინირებით თანამშრომელთა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით ცალკე დოკუმენტად შეიმუშაოს პერსონალისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებისთვის პროფესიული განვითარების/ტრენინგ გეგმა.

5.2.2.2. სასურველია EFLOW -ს გამოყენების სრული დატვირთვით ამუშავება უმოკლეს დროში, რათა უფრო ეფექტური გახდეს შიდა დოკუმენტბრუნვის პროცესი კოლეჯში;

5.2.2.3. სასურველია დაწესებულებამ საშტატო განრიგს დაამატოს რეესტრის მწარმოებლის საშტატო ერთეული და უზრუნველყოს რეესტრის სრულყოფილად შევსება, მიუხედავად იმისა, რომ მასში ყველა ძირითადი ინფორმაცია ასახულია.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, შპს ცხუმ-ეგრისის საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, რაც მნიშვნელოვანია სასწავლო და სამუშაო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობისთვის. კერძოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა 10/03/2025 თარიღით განახლებული ამონაწერი იურიდიული პირების რეესტრიდან და ფართის რეგისტრაციის შესახებ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 12/03/2025- ით თარიღით. კოლეჯის განთავსებულია ქ. ზუგდიდში კოსტავას ქ. N32 იჯარით აღებულ შენობაში მეორე სართულზე 446 კვ. მ. ფართობში, რაც დასტურდება იჯარის ხელშეკრულებით (1 აპრილი, 2011 წელი), რომელსაც ვადა აქვს 2033 წლამდე. დაწესებულების დათვალიერებისა და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ კოლეჯის ფართში განთავსებულია ფოიე, ეზო, თეორიული სწავლების აუდიტორიები - 6 A გარემო, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართები 2 B გარემო, საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამშრომლებისთვის 2 სამუშაო ოთახი, 4 პროგრამების სპეციფიკის შესაბამისად აღჭურვილი დარგობრივი სპეციფიკის ფართი, 1 სამასწავლებლო, პროფესიული სტუდენტებისთვის დასვენებისა და მუშაობისთვის გამოყოფილი 1 ფართი, 2 სანიტარული კვანძი გოგონებისა და ვაჟებისთვის ცალ ცალკე, მათ შორის შშმ პირებისთვის ადაპტირებული, 1 ბიბლიოთეკა, 1 სივრცე სანიტარული საშუალებების შესანახად/დამლაგებლის ოთახი, 1 მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერის ოთახი/სასაწყობო სივრცე, 1 პირველადი გადაუდებელი დახმარების სივრცე, შეხვედრების და საკონფერენციო 3 სივრცე, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის 3 ოთახი, 1 არქივი, 1 დამხმარე ფართი ადმინისტრაციისათვის. ყველა სასწავლო და სამუშაო სივრცე აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით. მატერიალური

რესურსების მართვა/შეფასება კოლეჯში რეგულარულად ხორციელდება 2023 წლის 20 იანვრის N01-01 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების განკარგვის წესის“ შესაბამისად. საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. კოლეჯის ყველა აუდიტორიაში, კომპიუტერულ კლასებში, პრაქტიკულ ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეებში არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება, რაც დადასტურდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ვიზუალური დათვალიერებით. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ინტერვიუებით დადასტურდა პროცესების მიმდინარეობა და რომ კოლეჯის პერსონალის, პროგრამის განმახორციელებლებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი. დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა 26.08.2024-ში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი და შემოწმების აქტი დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შემთხვევაში-გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე, რომლის მიხედვით 2024 წლის 22 აგვისტოს №377 აქტის შესაბამისად დგინდება, რომ ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქ.№32-ში მდებარე შპს "ცხუმ-ეგრისი"-ს პროფესიული კოლეჯის შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. ასევე, დაწესებულებამ წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქ.№32-ში მდებარე შპს "ცხუმ-ეგრისი"-ს პროფესიული კოლეჯის შესახებ, რაც ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო პროცესისათვის განკუთვნილი შენობა მდგრადი და უსაფრთხოა ექსპლუატაციისათვის. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

